დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტის თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია:

ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება;

ბ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 93-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ადგილობრივი მოსაკრებლის ოდენობას (განაკვეთს) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო;

გ) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-4 მუხლებთან, რომლებითაც განსაზღვრულია ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი და შეღავათები ადგილობრივი მოსაკრებლების გადახდაზე;

დ) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ადგილობრივ მოსაკრებელს წარმოადგენს მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის;

ე) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
იურიდიული განყოფილების უფროსი: **ბექა შენგელია**